საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

კოალიციის განცხადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტთან დაკავშირებით

კოალიცია Ꝑ□□□□□□□□□□□□□ და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის □ მიესალმება იუსტიციის სამინისტროს მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მომზადებას. კოდექსის შექმნა შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომელიც მის ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს დაამკვიდროს სპეციალური პოლიტიკა, პროცედურები, და ინსტიტუტები, მართლმსაჯულების სისტემასთან შემხებლობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის.

კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების სისტემის ლიბერალიზება და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპის გაძლიერება არასრულწლოვნებთან მიმართებით. აღნიშნული კოდექსი მართლმსაჯულების ახალ სტანდარტებსა და ნორმებს ამკვიდრებს არამხოლოდ კანონთან კონფქლიტში მყოფი არასრულწლოვნების, არამედ დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნების მიმართაც. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, ნასამართლობის გაქარწყლებას, განრიდების ინსტიტუტს, სპეციალიზებული მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებასა და სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს. კოდექსი ერთ საკანონმდებლო აქტში აერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულებისა და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს.

ახალი კოდექსის მიხედვით, პატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა, არასრულწლოვანთან მიმართებაში მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული. იკრძალება არასრულწლოვანისთვის უვადო

თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე არასრულწლოვანის პატიმრობის ვადა 60-დან 40 დღემდე მცირდება, ნასამართლობა კი სასჯელის მოხდისთანავე მოიხსნება.

კოდექსის მიხედვით იქმნება სპეციალიზირებული ინსტიტუტები, რომლებიც არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებენ. განსაკუთრებით მისასალმებელია სპეციალიზირებული პროკურორების, მოსამართლეებისა და პოლიციელების არსებობა.

კოდექსის მოთხოვნების ეფექტური იმპლემენტაცია დაკავშირებულია სპეციალიზირებული ინსტიტუტების დროულად მომზადებასა და მათ ეფექტურ მუშაობასთან. დღეს არსებული ვითარებით კოდექსი საერთო სასამართლოებში საქმის საერთო განსჯადობის წესით განხილვას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს სისტემა კოდექსის აღსრულებას სათანადოდ მომზადებული და აღჭურვილი შეუდგეს. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, საჭიროა დროულად ჩამოყალიბდეს ახალ მოდელზე გადასვლის სტრატეგია ყველა შესაბამის უწყებაში და გონივრულ დროზე გაიწეროს შესაბამისი ნაბიჯების გადადგის სამოქმედო გეგმა.

კოალიციას მიაჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის, ხელისუფლების ყველა შტომ თანმიმდევრული და ეფექტური ნაბიჯებით უნდა უზრუნველყოს მისი სრულყოფილი ამოქმედება პრაქტიკაში.